

იტალიის სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში  
ჯვარცმის გამოსახულების განთავსებასთან დაკავშირებით  
სასამართლომ დაადგინა, რომ  
არ დარღვეულა კონვენციის მოთხოვნები

დიდი პალატის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება საქმეზე ლაუცი და სხვები იტალიის წინააღმდეგ (განაცხადი №30814/06), მიღებულია მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით (15 ხმა 7-ის წინააღმდეგ), რომლითაც დადგინდა, რომ არ დარღვეულა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი (განათლების უფლება).

საქმე ეხებოდა იტალიის საჯარო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის გამოსახულების განთავსებას, რომელიც აპლიკანტების მოსაზრებით, შეუსაბამო იყო განათლების მიღებასა და სწავლებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან, რომელთა განხორციელებისას პატივი უნდა მიეგოს მშობელთა უფლებებსაც მათი რელიგიური კუთვნილებისა და ფილოსოფიური მოსაზრებებიდან გამომდინარე.

საქმის ძირითადი გარემოებები

აპლიკანტები იტალიის მოქალაქენი არიან, დაიბადნენ 1957, 1988 და 1990 წლებში. პირველი აპლიკანტი, სოილე ლაუცი (Soile Lautsi) და მისი ორი ვაჟი, დატაიკო და სამი ალბერტინი (Dataico and Sami Albertin), ცხოვრობენ იტალიაში. 2001-2002 სასწავლო წლის განმავლობაში დატაიკო და სამი ალბერტინი სწავლობდნენ აბანო ტერმეში მდებარე სახელმწიფო სკოლაში. სკოლის ყველა საკლასო ოთახის კედელზე განთავსებული იყო ჯვარცმის გამოსახულება.

2002 წლის 22 აპრილს, სკოლის ხელმძღვანელობასთან გამართული შეხვედრისას, ქალბატონი ლაუცის მეუღლემ წამოჭრა საკითხი საკლასო ოთახებში რელიგიური სიმბოლიკის განთავსების გამო, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ჯვარცმის გამოსახულებებს და იკითხა, შესაძლებელი იყო თუ არა მათი ჩამოსხნა. სკოლის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც რელიგიური სიმბოლოები უნდა დარჩენილიყო კლასებში, ქალბატონმა ლაუციმ გაასაჩივრა ვენეტოს ადმინისტრაციულ სასამართლოში 2002 წლის 23 ივლისს და აღნიშნა, რომ ასეთი გადაწყვეტილებით ირღვეოდა სეკულარიზმის პრინციპი.

2003 წლის 30 ოქტომბერს განათლების მინისტრი, რომელმაც 2002 წლის ოქტომბერში სკოლის ხელმძღვანელობას მისცა კონკრეტული მითითებები საკლასო ოთახებში ჯვარცმის გამოსახულების განთავსების უზრუნველყოფის თაობაზე, ჩაერთო ქალბატონი ლაუცის სარჩელის განხილვაში. მინისტრი ამტკიცებდა, რომ მოსარჩელის განცხადება დაუსაბუთებელი იყო, რადგან ჯვარცმის გამოსახულების განთავსება

სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ეფუძნებოდა 1924 და 1928 წლებში გამოცემულ სამეფო დეკრეტს.<sup>1</sup>

2004 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ საკითხის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საქმე, რომელიც ადმინისტრაციულმა სასამართლომ გადაუგზავნა განსახილველად, დაუშვებლად სცნო იმ საფუძველით, რომ შესაბამის სამეფო დეკრეტებს არ გააჩნდათ კანონის სტატუსი და ისინი წარმოადგენენ მხოლოდ რეგულაციებს, რაც არ შეიძლება გახდეს საკონსტიტუციო განხილვის საგანი.

2005 წლის 17 მარტს, ადმინისტრაციულმა სასამართლომ უარყო ქალბატონი ლაუცის სარჩელი. სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო სამეფო დეკრეტების ნორმები ჯერ კიდევ ძალაში იყო და ჯვარცმის გამოსახულების არსებობა სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში, არ არღვევდა სახელმწიფოს სეკულარიზმის პრინციპებს, რომელიც წარმოადგენდა „ევროპისა და დასავლური დემოკრატიების სამართლებრივი მემკვიდრეობის ნაწილს“. სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ჯვარცმის გამოსახულება ზოგადად იყო ქრისტიანობის გამომხატველი და არა მხოლოდ ცალკე კათოლიციზმის. ჯვარცმის გამოსახულება იყო ისტორიული და კულტურული სიმბოლო და წარმოადგენდა „იდენტურობასთან ასოცირებულ ღირებულებას“ იტალიელი ხალხისათვის და ის ასევე უნდა მოვიაზროთ, როგორც იტალიური კონსტიტუციის ფუნდამენტური სისტემის ღირებულების სიმბოლოდ.

ქალბატონმა ლაუციმ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სახელმწიფო საბჭოში (*Consiglio di Stato*), რომელმაც 2006 წლის 13 აპრილს გამოიტანა გადაწყვეტილება, სადაც აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის გამოსახულების განთავსებას სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა 1924 და 1928 სამეფო დეკრეტებიდან გამომდინარე და შეესაბამებოდა საკულარიზმის პრინციპებს. იქიდან გამომდინარე, რომ სამოქალაქო ღირებულებები, რაც დამახასიათებელია იტალიური ცივილიზაციისათვის – ტოლერანტობა, უფლებების განმტკიცება, სოლიდარობა და ყოველგვარი დისკრიმინაციის უარყოფა – ჯვარცმის გამოსახულების განთავსება საკლასო ოთახებში „სეკულარული“ პერსპექტივიდან გამომდინარე, უაღრესად საგანმანათლებლო ფუნქციასაც ითავსებს.

### **საჩივრები, პროცედურა და სასამართლოს შემადგენლობა**

კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლსა (განათლების უფლება) და კონვენციის მე-9 მუხლზე (აზრის, სინდისისა და რწმენის თავისუფლება) დაყრდნობით, აპლიკანტები ჩივიან იტალიის სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის გამოსახულების განთავსების გამო.

---

<sup>1</sup> №965 სამეფო დეკრეტის 118-ე მუხლი, რომელიც მიღებულს იქნა 1924 წლის 30 აპრილს (საშუალო სკოლების შუდა რეგულირების წესები) და №1297 სამეფო დეკრეტის 119-ე მუხლი, რომელიც მიღებულ იქნა 1928 წლის 26 აპრილს (დაწვებითი განათლების ზოგადი რეგულირების წესები)

კონვენციის მე-14 მუხლზე (დისკრიმინაციის აკრძალვა) დაყრდნობით, აპლიკანტებმა განაცხადეს, რომ ვინაიდან ისინი არ იყვნენ კათოლიკები, სკოლის სხვა კათოლიკე მოსწავლეებისა და მათი შეილებების მხრიდან ადგილი ჰქონდა მათ მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას.

სტრასბურგის ევროპულ სასამართლოში საჩივარი შევიდა 2006 წლის 27 ივლისს. პალატის მიერ 2009 წლის 3 ნოემბერს გამოტანილი გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ დარღვეული იყო კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი კონვენციის მე-9 მუხლთან ერთად. 2010 წლის 28 იანვარს იტალიის მთავრობამ პალატის გადაწყვეტილება გაასაჩივრა დიდ პალატაში კონვენციის 43-ე მუხლის (დიდი პალატისათვის საქმის გადაცემა) საფუძველზე. 2010 წლის 1 მარტს დიდმა პალატამ სარჩელი განსახილველად მიიღო. დიდი პალატის მიერ საქმის მოსმენა გაიმართა 2010 წლის 30 ივნისს სტრასბურგში.

ევროპული კონვენციის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, რომელიც საქმეში მესამე მხარის ჩართვას ეხება, წერილობითი კომენტარისათვის მიმართვა გაკეთდა:

- i) ევროპის პარლამენტის 33 წევრის მიმართ;
- ii) შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები: საბერძნეთის ჰელსინკის მონიტორი, პენსიონერთა უფლებების ეროვნული ასოციაცია, ევროპის სამართლისა და მართლმსაჯულების ცენტრი, იურისტთა საერთაშორისო კომიტეტი, Interights and Human Rights Watch, გერმანელ კათოლიკეთა ცენტრალური კომიტეტი, საფრანგეთის სოციალური კვირა და იტალიელ ქრისტიან მუშათა ასოციაცია.
- iii) სომხეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, რუსეთის ფედერაციის, საბერძნეთის, ლიტვის, მალტის, მონაკოს, რუმინეთის და სანმარინოს მთავრობები.

განჩინება გამოიტანა დიდმა პალატამ 17 მოსამართლის შემადგენლობით:

უან-პოლ კოსტა (საფრანგეთი), თავმჯდომარე,  
ხრისტოს როზაკისი (საბერძნეთი),  
ნიკოლას ბრატზა (გაერთიანებული სამეფო),  
პერ ლორენცენი (დანია),  
ჯოსეფ კასადევალი (ანდორა),  
ჯოვანი ბონელი (მალტა),  
ნინა ვაჯიჩი (ხორვატია),  
რაიტ მარუსტე (ესტონეთი),  
ანატოლი კოვლერი (რუსეთი),  
სვერე ერიკ იებენსი (ნორვეგია),  
პაივი ჰირველა (ფინეთი),  
ჯორჯო მალინვერი (შვეიცარია),  
გეორგე ნიკოლაუ (კვიპროსი),  
ანა პაუერუ (ირლანდია),  
ზდრავკა კალაიდიევა (ბულგარეთი),  
მიჰაი პოალელუნგი (მოლდავეთი),  
გუიდო რაიმონდი (იტალია), მოსამართლეები,  
და ასევე ერიკ ფრიბერგი, რეგისტრატორი.

## სასამართლოს გადაწყვეტილება

კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვეასთან დაკავშირებით

სასამართლოს პრეცედენტული სამართალიდან გამომდინარე<sup>2</sup> ჩანს, რომ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებაა, პატივი სცენ მშობლების რელიგიურ და ფილოსოფიურ მოსაზრებებს. ეს არ ეხება მხოლოდ სწავლას და არც იმას, თუ რა გზით უნდა მოხდეს ამის უზრუნველყოფა. წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან ეს პრინციპები დაიცვან ყველა „ფუნქციების“ „განხორციელებისას“. ეს გულისხმობს სკოლის გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ადგილობრივი სამართლის თანახმად, ეს ფუნქციები დაკისრებული აქვთ სახელმწიფო დაწესებულებებს. გადაწყვეტილება იმის თაობაზე, უნდა განთავსდეს თუ არა ჯვარცმის გამოსახულება სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში, წარმოადგენს იტალიის სახელმწიფოზე დაკისრებულ ფუნქციათა ნაწილს და შესაბამისად, ჯდება კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის ფარგლებში. ეს ნორმა სახელმწიფოს ავალდებულებს, მასზე დაკისრებული განათლებისა და სწავლების ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით, დაიცვას მშობლების უფლებები, რათა ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს თავისი შვილების განათლება და სწავლება თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მოსაზრებებიდან გამომდინარე.

სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან ჯვარცმის გამოსახულება ყველა რელიგიურ სიმბოლიკაზე მაღლა იდგა, სასამართლოს წინაშე არ იყო წარმოჩენილი რაიმე მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ საკლასო ოთახებში ასეთი სიმბოლო წარმოჩინებას შესაძლოა, რაიმე გავლენა ჰქონოდა მოსწავლეებზე. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ პირველმა განმცხადებელმა შესაძლებელია, სახელმწიფო სკოლის საკლასო ოთახში ჯვარცმის გამოსახულების განთავსება აღიქვა როგორც სახელმწიფოს მხრიდან უპატივცემულობის გამოხატულება მისი უფლების მიმართ უზრუნველყო ბავშვები განათლების მიღებით საკუთარი შეხედულებებისა და ფილოსოფიური მოსაზრებების შესაბამისად, თუმცა ეს არის მისი სუბიექტური აღქმა და საკმარისი არაა იმისათვის, რომ დადგინდეს კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის დარღვევა.

იტალიის მთავრობამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის გამოსახულების განთავსება ახლა უკვე ტრადიციაა, რომელსაც ისინი განიხილავენ იმდენად მნიშვნელოვნად, რომ სამუდამოდ უნდა დაამკვიდრონ. მათ დაამატეს, რომ მიუხედავად რელიგიური მნიშვნელობისა, ჯვარცმის გამოსახულება სიმბოლოა იმ პრინციპებისა და ღირებულებებისა, რომელმაც ჩამოაყალიბა დასავლური ცივილიზაციისა და დემოკრატიულობის საფუძვლები და რომ მისი საკლასო ოთახებში განთავსება სამართლებრივად გამართლებული იყო ამის გათვალისწინებით.

<sup>2</sup> განჩინებები – **Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark of 7 December 1976 (§ 50); Valsamis v. Greece of 18 December 1996 (§ 27); Hasan and Eylem Zengin v. Turkey of 9 October 2007 (§ 49);** და **Folgerø and Others v. Norway**, დიდი პალატის განჩინება, 2007 წლის 29 ივნისი (§ 84).

პირველ შენიშვნასთან დაკავშირებით სასამართლომ გამოთქვა მოსაზრება, რომ მაშინ, როდესაც ტრადიციის უკუდავყოფის გადაწყვეტილება თავსდება თუ არა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების შეფასების კრიტერიუმებში, ტრადიციებზე დაყრდნობა ვერ გაათავისუფლებს მათ მათზე დაკისრებული ვალდებულებებისაგან, რაც გულისხმობს კონვენციითა და მისი დამატებითი ქომებით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებების პატივისცემას.

მეორე შენიშვნასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს რა, რომ იტალიის სახელმწიფო საბჭოსა და საკასაციო სასამართლოს ჰქონდა განსხვავებული მოსაზრებები ჯვარცმის მნიშვნელობასთან დაკავშირებით და რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიღო გადაწყვეტილება, მიაჩნია, რომ მისი კომპეტენცია არ იყო ჩართულიყო ადგილობრივი სასამართლოების შიდა დებატებში.

ფაქტად რჩება ის, რომ სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების კრიტერიუმით, რასაც უთავსებენ მათზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით მშობლების უფლებების პატივისცემას, რათა უზრუნველყოს ასეთი განათლება და სწავლება მათი რელიგიური და ფილოსოფიური მოსაზრებებიდან გამომდინარე. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია პრინციპში, პატივი სცეს ხელშემკვრელი სახელმწიფოების გადაწყვეტილებებს ისეთ საკითხებში, რომლებიც რელიგიურ თემებსაც მოიცავს, თუკი ასეთ გადაწყვეტილებებს არ მივეყვართ იდეოლოგიური მითითებებისკენ. შესაბამისად, გადაწყვეტილება ჯვარცმის გამოსახულების საკლასო ოთახებში განთავსების შესახებ, პრინციპში ჯდება სახელმწიფოს მხრიდან შეფასების კრიტერიუმების ფარგლებში, განსაკუთრებით იმ საკითხებზე რომლებზეც არ არსებობდა ევროპაში კონსენსუსი. მიუხედავად ამისა, ეს შეფასების ზღვარი შეთანხმებულად გასდევდა სასამართლოს ზედამხედველობას, რომლის ამოცანასაც წარმოადგენდა, დარწმუნებულიყო, რომ ეს არჩევანი არ წარმოადგენდა იდეოლოგიური პროპაგანდის ფორმას.

ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის გამოსახულების განთავსების დადგენით იტალიური კანონმდებლობა სახელმწიფოს უმრავლესობის რელიგიას აკისრებდა ზედმატებულ სტატუსს სკოლის გარემოში. მისი მოსაზრებით, რომელიც თავისთავად არ იყო შეაბამისი, რაც ნიშნავდა იმას, რომ იტალიის მხრიდან ადგილი ჰქონდა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევას. სასამართლო დაეყრდნო თავის ადრეულ პრეცედენტებს,<sup>3</sup> რომლებშიც დადგინდა, რომ რაც შეეხება ერთი რელიგიის ზედმატებულობას სახელმწიფოს ისტორიის გათვალისწინებით, ის ფაქტი, რომ სკოლის პროგრამა ამას ანიჭებდა უპირატეს მნიშვნელობას, ვიდრე სხვა რელიგიებს, თავის მხრივ არ უნდა განიხილებოდეს, როგორც პროპაგანდის პროცესი. სასამართლომ აღნიშნა, რომ ჯვარცმის გამოსახულების განთავსება კედლებზე იყო არსებითად პასიური სიმბოლო, რომლის გავლენაც მოსწავლეებზე არ იყო

---

<sup>3</sup> Folgerø and Others v. Norway, Grand Chamber judgment of 29 June 2007, and Hasan and Eylem Zengin v. Turkey, Chamber judgment of 9 October 2007

შესადარებელი რელიგიური პირების დიდაქტიკურ გამოსვლებთან, ან რელიგიურ მოღვაწეობასთან.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ მეტი თვალსაჩინოება, რომელიც შედეგად მოჰყვა სკოლებში ჯვარცმის გამოსახულების განთავსებას, საჭიროა შემდგომში განვიხილოთ შემდეგი პერსპექტივების ჭრილში: ჯვარცმის გამოსახულების არსებობა არ ასოცირდებოდა ქრისტიანობის შესახებ სავალდებულო სწავლებასთან; მთავრობის მოსაზრებით, იტალიის სკოლებში სხვა რელიგიის წარმომადგენელი ბავშვებისთავისაც თავისუფალი გარემო იყო შექმნილი (მოსწავლეებს შეეძლოთ ეტარებინათ სხვადასხვა რელიგიური სიმბოლოები, ან ჩაცმულობა; მცირე რიცხოვანი რელიგიური ჯგუფების მოსაზრებები (ქმედებები) გათვალისწინებული იყო; დამატებითი რელიგიური განათლების მიღება შესაძლებელია სკოლებში ყველა აღიარებული რელიგიური კონფესიის წარმომადგენლებისათვის; რამადანის დასასრული ხშირად აღინიშნებოდა სკოლებში და ა.შ.)

ვერცერთი არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება არამიმტვევებლური იყო სხვა რელიგიის მოსწავლეების მიმართ, ვერ იქნა წარმოდგენილი. ამას გარდა, აპლიკანტებმა ვერ დაადასტურეს, რომ საკლასო ოთახებში ჯვარცმის გამოსახულების განთავსება, ხელს უწყობდა სასწავლო პრაქტიკაში პროზელიტიზმის ტენდენციების დანერგვას მასწავლებლის მიერ. და ბოლოს, სასამართლომ აღნიშნა, რომ ქალბატონი ლაუციმ სრული მოცულობით შეინარჩუნა თავისი, როგორც მშობლის უფლებები, გაენათლებინა, მიეცა რჩევები და მიმართულება თავისი შვილებისათვის თავისი საკუთარი მრწამსისა და ფილოსოფიური მოსაზრებების მიხედვით.

სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში, სადაც ქალბატონი ლაუცის შვილები სწავლობდნენ, ჯვარცმის გამოსახულების განთავსების გადაწყვეტილების ძალაში დატოვებით ხელისუფლება მოქმედებდა შეფასების კრიტერიუმის ფარგლებში, რა დროსაც დაცული იყო მშობლის უფლებები, მიეცა განათლება და მიმართულება თავისი შვილებისათვის თავისი საკუთარი მრწამსისა და ფილოსოფიური მოსაზრებების მიხედვით. შესაბამისად, არ დარღვეულა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი პირველ აპლიკანტთან მიმართებაში. სასამართლომ შემდგომში აღნიშნა, რომ არ წამოჭრილა საკითხი კონვენციის მე-9 მუხლის ცალკე განხილვის აუცილებლობისა.

სასამართლო იმავე დასკვნამდე მივიდა მეორე და მესამე აპლიკანტების (ქალბატონი ლაუცის შვილები) მიმართაც.

## *კონვენციის მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით*

პალატის განჩინებაში თავისი მოსაზრებების გათვალისწინებით სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებაში. შესაბამისად, არ არსებობდა აუცილებლობა კონვენციის მე-14 მუხლის ცალკე განხილვისა.

მას შემდეგ, რაც მრავალჯერ აღინიშნა, რომ კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა დამოუკიდებლად არ არსებობს და ის განიხილება კონვენციის სხვა მუხლებთან ერთად, **დიდმა პალატამ** დაადგინა, რომ განმცხადებლის მოსაზრებიდან გამომდინარე, რომლის თანახმადაც იგი ჩიოდა კონვენციის მე-9 მუხლისა და პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით გარანტირებული უფლებების დარღვევაზე, სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნულ საჩივარში არ მოიპოვება რაიმე განსხვავებული საკითხი იმ მოსაზრებებისგან, რომლებიც უკვე განსაზღვრულია კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით.

შესაბამისად, არ არსებობს რაიმე საფუძველი იმისათვის, რომ სასამართლოს განეხილა განაცხადის ეს ნაწილი.

## **განსხვავებული მოსაზრებები**

მოსამართლეებმა ბონელომ, პაუერმა და როზაკისმა გამოთქვეს თანმხედრი მოსაზრება. მოსამართლე მალინვერიმ გამოთქვა განსხვავებული მოსაზრება, რომელსაც შეუერთდა მოსამართლე კალაიდიევა.

ყველა ეს მოსაზრება თანდართულია განჩინებაზე, რომლის ოფიციალური ვერსიაც გამოქვეყნებულია სტრასბურგის სასამართლოს ვებ-გვერდზე.